

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ანგარიში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებით - 20650.0 ათასი ლარის ოდენობით (საკუთარი შემოსავლები - 20350.0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან - 300.0 ათასი ლარი).

2025 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 228.0 ათას ლარს. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 119.0 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი - 109.0 ათას ლარს.

2025 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 18-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 6-ჯერ და საკრებულოს მიერ - 12-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 41077.8 ათასი ლარით ((საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 26000.9 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 15076.9 ათასი ლარი)).

2025 წლის ბიუჯეტის წლიური ფაქტიური შემოსულობები 40371.5 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 39056.9 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის პირველი იანვრისათვის ნაშთი დარჩა 1314.6 ათასი ლარი. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 522.7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან - 791.9 ათასი ლარი.

თავი I. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის წლიურმა ფაქტიურმა შემოსავლებმა 40371.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (41077.8 ათასი ლარი) 98,2%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წლიურ ფაქტიურ შემოსავლებში (40371.5 ათასი ლარი) საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 19965.4 ათას ლარს, ანუ 49,4 %-ს შეადგენს.



არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი -2551.3 ათას ლარს, ანუ 6,3 პროცენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები -17125.7 ათას ლარს, ანუ 42,4 %-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 501.1 ათას ლარს, ანუ 1,2 %-ს.


ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2025 წლის წლიურ ფაქტიურ შემოსულობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 19965.4 ათასი ლარი (49,4%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. ქონების გადასახადის სახით ჩარიცხულია 3509.3 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 16456.1 ათასი ლარი. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების სახით ჩარიცხულია 2551.3 ათასი ლარი (გეგმა 2761.8 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხებიდან, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 1956.3 ათასი ლარი (გეგმა 2101.5 ათასი ლარი). ფინანსური დახმარება ჩარიცხულია 2700.0 ათასი ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩარიცხულია 8676.0 ათასი ლარი (გეგმა 9076.0 ათასი ლარი) . სოფლის მხარდაჭერის პროგრამებისათვის ჩარიცხულია 690.0 ათასი ლარი. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ჩარიცხულია 2287.2 ათასი ლარი. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ჩარიცხულია 489.3 ათასი ლარი და მოქალაქეთა ჩართულობის პროექტებისათვის - 323.9 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის წლიური გადასახდელების გეგმა შეადგენდა 41077.8 ათას ლარს. ფაქტიურად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია 39056.9 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 95,1%-ით.

1. ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური			2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	40 354,8	25 386,9	14 967,9	40 354,8	25 386,9	14 967,9	39 642,4	25 216,7	14 425,7
გადასახადები	19 925,1	19 925,1	-	19 925,1	19 925,1	-	19 965,4	19 965,4	-
გრანტები	17 667,9	2 700,0	14 967,9	17 667,9	2 700,0	14 967,9	17 125,7	2 700,0	14 425,7
სხვა შემოსავლები	2 761,8	2 761,8	-	2 761,8	2 761,8	-	2 551,3	2 551,3	-
II. ხარჯები	26 755,0	23 691,7	3 063,3	26 755,0	23 691,7	3 063,3	25 658,4	23 365,7	2 292,7
შრომის ანაზღაურება	3 963,0	3 930,0	33,0	3 963,0	3 930,0	33,0	3 939,9	3 907,0	32,9
საქონელი და მომსახურება	4 544,0	2 738,1	1 805,9	4 544,0	2 738,1	1 805,9	3 979,9	2 421,6	1 558,3
პროცენტი	6,3	6,3	-	6,3	6,3	-	6,3	6,3	-
სუბსიდიები	15 139,8	14 850,3	289,5	15 139,8	14 850,3	289,5	14 967,0	14 763,6	203,4
გრანტები	21,4	21,4	-	21,4	21,4	-	21,0	21,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 380,6	1 358,1	22,5	1 380,6	1 358,1	22,5	1 535,6	1 513,1	22,5
სხვა ხარჯები	1 699,9	787,5	912,4	1 699,9	787,5	912,4	1 208,7	733,1	475,6
III. საოპერაციო საღდო	13 599,8	1 695,2	11 904,6	13 599,8	1 695,2	11 904,6	13 984,0	1 851,0	12 133,0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	13 769,8	1 756,2	12 013,6	13 769,8	1 756,2	12 013,6	12 839,4	1 389,3	11 450,1
ზრდა	14 264,8	2 251,2	12 013,6	14 264,8	2 251,2	12 013,6	13 340,5	1 890,4	11 450,1
კლება	495,0	495,0		495,0	495,0		501,1	501,1	



V. მილიანი სალდო	- 170,0	- 61,0	- 109,0	- 170,0	- 61,0	- 109,0	1 144,6	461,7	682,9
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 228,0	- 119,0	- 109,0	- 228,0	- 119,0	- 109,0	1 086,6	403,7	682,9
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	228,0	119,0	109,0	228,0	119,0	109,0	- 1 086,6	- 403,7	- 682,9
ვალუტა და დეპოზიტები	228,0	119,0	109,0	228,0	119,0	109,0	- 1 086,6	- 403,7	- 682,9
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-	-	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 58,0	- 58,0	-	- 58,0	- 58,0	-	-	- 58,0	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-
საგარეო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	58,0	58,0	-	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-	-	-
საგარეო	58,0	58,0	-	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
სესხები	58,0	58,0	-	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
სხვა	-	-	-	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	-

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური			2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	40 849,8	25 881,9	14 967,9	40 849,8	25 881,9	14 967,9	40 143,5	25 717,8	14 425,7	98,3	99,4	96,4
შემოსავლები	40 354,8	25 386,9	14 967,9	40 354,8	25 386,9	14 967,9	39 642,4	25 216,7	14 425,7	98,2	99,3	96,4
არაფინანსური აქტივების კლება	495,0	495,0	-	495,0	495,0	-	501,1	501,1	-	101,2	101,2	0,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	41 077,8	26 000,9	15 076,9	41 077,8	26 000,9	15 076,9	39 056,9	25 314,1	13 742,8	95,1	97,4	91,2
ხარჯები	26 755,0	23 691,7	3 063,3	26 755,0	23 691,7	3 063,3	25 658,4	23 365,7	2 292,7	95,9	98,6	74,8




არაფინანსური აქტივების ზრდა	14 264,8	2 251,2	12 013,6	14 264,8	2 251,2	12 013,6	13 340,5	1 890,4	11 450,1	93,5	84,0	95,3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	58,0	58,0	-	58,0	58,0	-	58,0	58,0	-	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	- 228,0	- 119,0	- 109,0	- 228,0	- 119,0	- 109,0	1 086,6	403,7	682,9	0,0	0,0	0,0

3. ბიუჯეტის შემოსავლები

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური			2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	40 354,8	25 386,9	14 967,9	40 354,8	25 386,9	14 967,9	39 642,4	25 216,7	14 425,7	98,2	99,3	96,4
გადასახადები	19 925,1	19 925,1	-	19 925,1	19 925,1	-	19 965,4	19 965,4	-	100,2	100,2	0,0
გრანტები	17 667,9	2 700,0	14 967,9	17 667,9	2 700,0	14 967,9	17 125,7	2 700,0	14 425,7	96,9	100,0	96,4
სხვა შემოსავლები	2 761,8	2 761,8	-	2 761,8	2 761,8	-	2 551,3	2 551,3	-	92,4	92,4	0,0

4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური			2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	19 925,1	19 925,1	-	19 925,1	19 925,1	-	19 965,4	19 965,4	-	100,2	100,2	0,0
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	16 434,1	16 434,1	-	16 434,1	16 434,1	-	16 456,1	16 456,1	-	100,1	100,1	0,0
ქონების გადასახადი	3 491,0	3 491,0	-	3 491,0	3 491,0	-	3 509,3	3 509,3	-	100,5	100,5	0,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 840,0	2 840,0	-	2 840,0	2 840,0	-	2 844,8	2 844,8	-	100,2	100,2	0,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	41,0	41,0	-	41,0	41,0	-	41,8	41,8	-	102,0	102,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	81,0	81,0	-	81,0	81,0	-	82,6	82,6	-	102,0	102,0	0,0



სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	143,0	143,0		143,0	143,0		147,9	147,9		103,4	103,4	0,0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	386,0	386,0		386,0	386,0		392,2	392,2		101,6	101,6	0,0

5. ბიუჯეტის გრანტები

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური	2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა	2025 წლის იანვარ-დეკემბერი	შესრულების პროცენტი
გრანტები	17 667,9	17 667,9	17 125,7	96,9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები				
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	17 667,9	17 667,9	17 125,7	96,9
ფინანსური დახმარება	2 700,0	2 700,0	2 700,0	100,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	2 101,5	2 101,5	1 959,3	93,2
კაპიტალური ტრანსფერი	10 579,2	10 579,2	10 179,2	96,2
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	9 076,0	9 076,0	8 676,0	95,6
გრანტი მოქალაქეთა ჩართულობა და სკოლა	813,2	813,2	813,2	100,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	690,0	690,0	690,0	100,0
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	2 287,2	2 287,2	2 287,2	100,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2 287,2	2 287,2	2 287,2	100,0

6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური	2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა	2025 წლის იანვარ-დეკემბერი	შესრულების პროცენტი
სხვა შემოსავლები	2 761,8	2 761,8	2 551,3	92,4
შემოსავლები საკუთრებიდან	708,0	708,0	587,0	82,9
პროცენტი	168,0	168,0	169,2	100,7
რენტა	540,0	540,0	417,8	77,4
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	205,0	205,0	197,9	96,5



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	195,0	195,0	182,2	93,4
სანებართვო მოსაკრებელი	25,0	25,0	28,6	114,4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	170,0	170,0	153,6	90,4
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	10,0	10,0	15,7	157,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1 823,8	1 823,8	1 738,9	95,3
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	25,0	25,0	27,5	110,0

7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

/ათას ლარში/


დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური			2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	26 755,0	23 691,7	3 063,3	26 755,0	23 691,7	3 063,3	25 658,4	23 365,7	2 292,7	95,9	98,6	74,8
შრომის ანაზღაურება	3 963,0	3 930,0	33,0	3 963,0	3 930,0	33,0	3 939,9	3 907,0	32,9	99,4	99,4	99,7
საქონელი და მომსახურება	4 544,0	2 738,1	1 805,9	4 544,0	2 738,1	1 805,9	3 979,9	2 421,6	1 558,3	87,6	88,4	86,3
პროცენტები	6,3	6,3	-	6,3	6,3	-	6,3	6,3	-	100,0	100,0	
სუბსიდიები	15 139,8	14 850,3	289,5	15 139,8	14 850,3	289,5	14 967,0	14 763,6	203,4	98,9	99,4	70,3
გრანტი	21,4	21,4	-	21,4	21,4	-	21,0	21,0	-	98,1	98,1	
სოციალური უზრუნველყოფა	1 380,6	1 358,1	22,5	1 380,6	1 358,1	22,5	1 535,6	1 513,1	22,5	111,2	111,4	100,0
სხვა ხარჯები	1 699,9	787,5	912,4	1 699,9	787,5	912,4	1 208,7	733,1	475,6	71,1	93,1	

8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 12839.4 ათასი ლარით. მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 13340.5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 501.1 ათასი ლარით.

/ათას ლარში/

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2025 წლის გეგმა წლიური	2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა	2025 წლის იანვარ-დეკემბერი	შესრულების პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	28,0	28,0	24,3	86,8
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	28,0	28,0	24,3	86,8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14 044,0	14 044,0	13 135,6	93,5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	11 449,3	11 449,3	10 739,4	93,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	-	-	-	#DIV/0!
02 03	გარე განათება	15,2	15,2	15,2	100,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 301,1	1 301,1	1 204,3	92,6
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	935,3	935,3	896,4	95,8



02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	343,1	343,1	280,3	81,7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	102,0	102,0	98,9	97,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	102,0	102,0	98,9	97,0
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა				-
04 00	განათლება	40,4	40,4	32,7	80,9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	38,4	38,4	30,9	80,5
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	-	-	#DIV/0!
04 03	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	-	-	-	#DIV/0!
04 04	სკოლისგარეშე განათლება	2,0	2,0	1,8	90,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	50,4	50,4	49,0	97,2
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	7,0	7,0	6,9	98,6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	43,4	43,4	42,1	97,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	-	-	-	
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	14 264,8	14 264,8	13 340,5	93,5


/ათას ლარში/

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური	2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა	2025 წლის იანვარ-დეკემბერი	შესრულების პროცენტი
არაფინანსური აქტივების კლება	495,0	495,0	501,1	101,2
ძირითადი აქტივები	75,0	75,0	77,8	103,7
არაწარმოებული აქტივები	420,0	420,0	423,3	100,8
მიწა	420,0	420,0	423,3	100,8

9. შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციით შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

/ათას ლარში/

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური	2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა	2025 წლის იანვარ-დეკემბერი	შესრულების პროცენტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 680,5	5 680,5	5 332,4	93,9
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 616,2	5 616,2	5 268,1	93,8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 415,2	5 415,2	5 268,1	97,3
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	201,0	201,0	-	-
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	64,3	64,3	64,3	100,0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	11 779,3	11 779,3	11 069,3	94,0
7.4.5	ტრანსპორტი	11 779,3	11 779,3	11 069,3	94,0
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	11 779,3	11 779,3	11 069,3	94,0
7.5	გარემოს დაცვა	4 330,0	4 330,0	4 318,4	99,7



7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	4 330,0	4 330,0	4 318,4	99,7
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4 012,3	4 012,3	3 752,0	93,5
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 790,8	1 790,8	1 638,4	91,5
7.6 3	წყალმომარაგება	409,8	409,8	409,8	100,0
7.6 4	გარე განათება	495,5	495,5	495,5	100,0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1 316,2	1 316,2	1 208,3	91,8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	289,5	289,5	203,4	70,3
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	289,5	289,5	203,4	70,3
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	-	-	-	#DIV/0!
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 479,2	3 479,2	3 441,8	98,9
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 295,0	1 295,0	1 290,3	99,6
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	2 000,0	2 000,0	1 989,5	99,5
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	81,2	81,2	81,2	100,0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	103,0	103,0	80,8	78,4
7.9	განათლება	9 741,4	9 741,4	9 042,2	92,8
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	6 880,0	6 880,0	6 825,5	99,2
7.9 2	ზოგადი განათლება	2 861,4	2 861,4	2 216,7	77,5
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	2 861,4	2 861,4	2 216,7	77,5
7.10	სოციალური დაცვა	1 765,6	1 765,6	1 897,4	107,5
7.10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 765,6	1 765,6	1 897,4	107,5
	სულ	41 077,8	41 077,8	39 056,9	95,1

10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 13984.0 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო 1144.6 ათასი ლარით.

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური	2025 წლის იანვარ- დეკემბერი გეგმა	2025 წლის იანვარ- დეკემბერი
საოპერაციო სალდო	13 599,8	13 599,8	13 984,0
მთლიანი სალდო	- 170,0	- 170,0	1 144,6

11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 1086.6 ათასი ლარით:

დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური	2025 წლის იანვარ- დეკემბერი გეგმა	2025 წლის იანვარ- დეკემბერი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 228,0	- 228,0	1 086,6

ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	228,0	228,0	- 1 086,6
ვალუტა და დეპოზიტი	228,0	228,0	- 1 086,6

ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს 1314.6 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს 2026 წლის წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები - 522.7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული გრანტი - 791.9 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანება - 2.6 ათას ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება - 68.5 ათას ლარს შეადგენს.

12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 58.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016 წელს მიღებული სესხის დაფარვას. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 64.3 ათას ლარს, ხოლო 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 29.0 ათას ლარს.

თავი II. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

13. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. როგორცაა: მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს, აგრეთვე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას.

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური						2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი			/ათას ლარში/ შესრულების პროცენტი	
		მათ შორის			მათ შორის			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		
														საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5 680,5	5 640,3	40,2	5 680,5	5 640,3	40,2	5 332,4	5 292,3	40,1	93,9	93,8	99,8		
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 415,2	5 375,0	40,2	5 415,2	5 375,0	40,2	5 268,1	5 228,0	40,1	97,3	97,3	99,8		



01 01 01	თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 163,0	1 163,0	-	1 163,0	1 163,0	-	1 152,9	1 152,9	-	99,1	99,1	#DIV/0!
01 01 02	თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია	4 252,2	4 212,0	40,2	4 252,2	4 212,0	40,2	4 115,2	4 075,1	40,1	96,8	96,7	99,8
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	265,3	265,3	-	265,3	265,3	-	64,3	64,3	-	24,2	24,2	#DIV/0!
01 02 01	სარეზერვო ფონდი	200,0	200,0	-	200,0	200,0	-	-	-	-	0,0	0,0	#DIV/0!
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,0	1,0	-	1,0	1,0	-	-	-	-	0,0	0,0	#DIV/0!
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	64,3	64,3	-	64,3	64,3	-	64,3	64,3	-	100,0	100,0	#DIV/0!

2025 წლის სამი კვარტლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 1152.9 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4075.1 ათასი ლარი. 2. საერთო დანიშნულების ხარჯები: მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება დაფინანსებულია 64.3 ათასი ლარით. არ დაფინანსებულა კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი. ხოლო, სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯმა 199.2 ათასი ლარი შეადგინა.

14. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტების დაფინანსება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14821.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,8 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით.

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური			2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი			შესრულების პროცენტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები			
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15 791,6	3 413,3	12 378,3	15 791,6	3 413,3	12 378,3	14 821,3	3 046,3	11 775,0	93,9	89,2	95,1
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	11 779,3	1 389,4	10 389,9	11 779,3	1 389,4	10 389,9	11 069,3	1 173,2	9 896,1	94,0	84,4	95,2
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და	409,8	409,8	-	409,8	409,8	-	409,8	409,8	-	100,0	100,0	#DIV/0!



	ექსპლოატაცია													
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	495,5	495,5	-	495,5	495,5	-	495,5	495,5	-	100,0	100,0	#DIV/0!	
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 790,8	492,4	1 298,4	1 790,8	492,4	1 298,4	1 638,4	449,5	1 188,9	91,5	91,3	91,6	
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	963,2	273,2	690,0	963,2	273,2	690,0	923,1	233,1	690,0	95,8	85,3	100,0	
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	353,0	353,0	-	353,0	353,0	-	285,2	285,2	-	80,8	80,8	#DIV/0!	

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.

1.1 გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა - შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 02 01)

საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატიურად მიმდინარეობდა. სამუშაოები მოიცავდა ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას, არასასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით, სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც მიმდინარე პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა: სოფ. ზედა სიმონეთში აბჟანდაძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 362.7 ათასი ლარით; ქ.თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 64.1 ათასი ლარით; დ. კლდიაშვილის სახლმუხეუმის ასფალტოვანი გზიდან სოფ. სათემოს ეკლესია - აბულაძეების უბანამდე არსებული გზის რეაბილიტაცია - 92.4 ათასი ლარით; სოფ. რუფოთში, ჭანკვეტაძეების უბანში მიმდებარე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 233.7 ათასი ლარით; სოფ ახალთერჯოლაში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 131.3 ათასი ლარით; სოფ. თუზში ჩაფიჩაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია - 240.5 ათასი ლარით; სოფ. ჩხარში ამირანაშვილების მუხეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 224.4 ათასი ლარით; ქვ. ალისუბანი - მაჩიტაურის დამაკავშირებელი 3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 220.5 ათასი ლარით; სოფ. სიქთარვაში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია - 35.5 ათასი ლარით; სოფ. სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია - 80.8 ათასი ლარით; სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 235.5 ათასი



ლართ; სოფ. კვახჭირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 72.6 ათასი ლართ; თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია - 231.6 ათასი ლართ; სოფ. საჩანოში ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 240.5 ათასი ლართ; სოფ. ჩხარი ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 728.9 ათასი ლართ; სოფ. ბარდუბანში ავტობანიდან ვერულაშვილები-ბოჭორიშვილები-გრძელიძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 198.5 ათასი ლართ; სოფ. ზედა საჩანოში გიორგაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია - 271.7 ათასი ლართ; სოფ. თუშში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 247.0 ათასი ლართ; ქ. თერჯოლაში მაცაბერიძის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია - 123,6 ათასი ლართ; სოფ. ღვანკითი-ტელეფას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 577.4 ათასი ლართ; თერჯოლა-ახალთერჯოლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 814.0 ათასი ლართ; ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულებულია 791.9 ათასი ლარის სამუშაოები; თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია (3 ეტაპი) დაფინანსდა 213.5 ათასი ლართ; სოფ. სიქთარვაში ცხადაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაფინანსდა 94.9 ათასი ლართ; სოფ. ეწერში ახალ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 311.0 ათასი ლართ, საანგარიშო პერიოდში შესრულებულია 292.2 ათასი ლარის სამუშაოები; სოფ. ეწერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 200.0 ათასი ლართ; გოდოგანი ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 366.9 ათასი ლართ; ალისუბანი აბისინის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 337.8 ათასი ლართ, საანგარიშო პერიოდში შესრულებულია 294.1 ათასი ლარის სამუშაოები; სოფ. გოგნში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 541.1 ათასი ლართ; სოფ. ქვედა სიმონეთში ზედა ნიკოლაძეების უბნისა და ბოჭორიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 357.2 ათასი ლართ. ღვანკითი სოფ; ზოვრეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 375.2 ათასი ლართ; სოფელ გოდოგანში წყალწითელა-ქვაშავას უბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე დაფინანსება არ განხორციელებულა, რადგან ვერ მოესწრო ხელშეკრულების გაფორმება.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 1765.0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში ათვისებულია 1755.7 ათასი ლარი.

შედეგი: მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის შეიქმნა უსაფრთხო გარემო. მგზავრთა გადაადგილების დრო შემცირდა.

1.2 წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

წყლის განვითარების პროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემის როგორც სრულ - ისე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდა უწყვეტ რეჟიმში, რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილიყო დროულად.

შედეგი: წყლის სისტემის მშენებლობა, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად.



1.3 გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03)

მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება მოხმარდა გარე განათების ქსელის განვითარებას და ექსპლუატაციის საჭირო ხარჯებს.

შედეგი: გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

1.4 კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 0204)

მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სკვერების მოწყობა, საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნა აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი დაფინანსებიდან 2025 წელს გაიხარჯება 41.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 38.5 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა ქ.თერჯოლაში არსებული მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია 451.1 ათასი ლარით.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 392.0 ათასი ლარი მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 283.2 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროექტები დაფინანსდა 323.9 ათასი ლარით.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1106 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 90.0 ათასი ლარი, რომელიც ათვისებულია სრულად.

შედეგი: კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების იერსახის გაუმჯობესება.

1.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 05)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროექტები: სასმელი წყლის სისტემები, წყაროების მოპირკეთება, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების,



ნაპირსამაგრი სამუშაოები. გზები, გზისპირა მოსაცდელელები, ცხაურები, ხიდები, ხიდბოგირები, გადასასვლელები, გარე განათება, სკოლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა, სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი, ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი, სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით, წისქვილის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულებით, გამოყოფილი და ათვისებულია 690.0 ათასი ლარი. მიმდინარე პერიოდში ასევე გაწეულია 233.1 ათასი ლარის თანადაფინანსება ადგილობრივი შემოსავლებით.

შედეგი: რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა სოფლად.

1.6 საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)

საამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. პროგრამის ფარგლებში, ასევე დაფინანსდა 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა, მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

შედეგი: შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

მუხლი 15. დასუფთავება და გარემოს დაცვა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 01)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 4318.4 ათასი ლარით. გეგმა შესრულებულია 99,7 პროცენტით.

პროგრამული კოდი	დასახელება	/ათას ლარში/											
		2025 წლის გეგმა წლიური			2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი			შესრულების პროცენტი		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4 330,0	4 330,0	-	4 330,0	4 330,0	-	4 318,4	4 318,4	-	99,7	99,7	#DIV/0!
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	4 330,0	4 330,0	-	4 330,0	4 330,0	-	4 318,4	4 318,4	-	99,7	99,7	#DIV/0!

2.1 დასუფთავება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქუჩების, მოედნების, სკვერების, შენობების, საზოგადოებრივი ადგილების დაგვა- დასუფთავება, საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუნებელყოფა -განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების, პარკების მოვლა- პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება. სანიაღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის, შეკეთების და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა, საუბნო გზების მოწყობა ინერტული მასალით, ბოგირების, ცხაურების მოწყობა, მოვლა- პატრონობა. წყლის მომარაგების /ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მოწესრიგებული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული, დასუფთავებული ტერიტორია, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება, გარე განათების გამართული ქსელი.

მუხლი 16. განათლება

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 9042.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 92,8 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით.

/ათას ლარში/

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური			2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა			2025 წლის იანვარ-დეკემბერი			შესრულების პროცენტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
04 00	განათლება	9 741,4	7 395,0	2 346,4	9 741,4	7 395,0	2 346,4	9 042,2	7 340,4	1 701,8	92,8	99,3	72,5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	6 880,0	6 880,0	-	6 880,0	6 880,0	-	6 825,5	6 825,5	-	99,2	99,2	#DIV/0!
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	250,0	250,0	-	250,0	250,0	-	238,2	238,2	-	95,3	95,3	#DIV/0!
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	6 630,0	6 630,0	-	6 630,0	6 630,0	-	6 587,3	6 587,3	-	99,4	99,4	#DIV/0!
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	2 346,4	-	2 346,4	2 346,4	-	2 346,4	1 701,8	-	1 701,8	72,5	#DIV/0!	72,5
04 04	სკოლისგარეშე განათლება	515,0	515,0	-	515,0	515,0	-	514,9	514,9	-	100,0	100,0	#DIV/0!

2.განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.



3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01 01)
 ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“ უზრუნველყოფს სააღმზრდელო დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას.

3.2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)
 თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 26 საბავშვო ბაღში სწავლობს 926 ბავშვი. აქედან, გოგო - 455 და ბიჭი - 471.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების და სწავლების მეთოდების შესწავლა. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, მენობა, ინვენტარი და სხვა) მოწყობა. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

შედეგი: სკოლამდელი აღზრდის ბავშვების სკოლისათვის მზაობა.

3.4. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 04 03)

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში შეუფერხებლად ხორციელდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რისთვისაც გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი 1724.3 ათასი ლარიდან გაწეულია 1515.8 ათასი ლარის სატრანსპორტო ხარჯი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი 622.1 ათასი ლარიდან ათვისებულია 186.0 ათასი ლარი. ათვისებლობა გამოიწვია თანხების გვიან გამოყოფამ და ასევე, ვერ მოესწრო ხელშეკრულების გაფორმება.

3.5 სკოლისგარეშე განათლება (პროგრამული კოდი 04 04)

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი არის, არაფორმალური სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება 6-21 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდობას. 2024-2025 სასწავლო წელს „ცენტრში“ მუშაობდა 4 ქვეპროგრამა, რომელშიც გაერთიანებული იყო 26 კლუბი და 1 წრე. მოსწავლეთა რაოდენობა -600. აქედან, გოგო 341 და 259 ბიჭი. სასაწავლო-შემოქმედებით მუშაობაში ჩართულობა გაიზარდა, მოსწავლეთა აქტიური წარმატებული მუშაობა შესაბამისად აისახა სტატისტიკაშიც.


შედეგი: საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა.

მუხლი 17. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 3441.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,9 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით.

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა წლიური		2025 წლის იანვარ-დეკემბერი გეგმა		2025 წლის იანვარ-დეკემბერი		შესრულების პროცენტი	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

/ათას ლარში/



			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	3 479,2	3 479,2	-	3 479,2	3 479,2	-	3 441,8	3 441,8	-	98,9	98,9	#DIV/0!
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 295,0	1 295,0	-	1 295,0	1 295,0	-	1 290,3	1 290,3	-	99,6	99,6	#DIV/0!
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	135,0	135,0	-	135,0	135,0	-	132,0	132,0	-	97,8	97,8	#DIV/0!
05 01 02	სპორტული სკოლა	1 160,0	1 160,0	-	1 160,0	1 160,0	-	1 158,3	1 158,3	-	99,9	99,9	#DIV/0!
05 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2 000,0	2 000,0	-	2 000,0	2 000,0	-	1 989,5	1 989,5	-	99,5	99,5	#DIV/0!
05 02 01	სახელოვნო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	410,0	410,0	-	410,0	410,0	-	405,5	405,5	-	98,9	98,9	#DIV/0!
05 02 02	სახელოვნო სკოლები	506,0	506,0	-	506,0	506,0	-	504,0	504,0	-	99,6	99,6	#DIV/0!
05 02 03	ბიბლიოთეკები	321,6	321,6	-	321,6	321,6	-	320,8	320,8	-	99,8	99,8	#DIV/0!
05 02 04	კულტურის სახლები	642,3	642,3	-	642,3	642,3	-	640,0	640,0	-	99,6	99,6	#DIV/0!
05 02 05	მუზეუმები	120,1	120,1	-	120,1	120,1	-	119,2	119,2	-	99,3	99,3	#DIV/0!
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	43,0	43,0	-	43,0	43,0	-	40,8	40,8	-	94,9	94,9	#DIV/0!
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	60,0	60,0	-	60,0	60,0	-	40,0	40,0	-	66,7	66,7	#DIV/0!
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	81,2	81,2	-	81,2	81,2	-	81,2	81,2	-	100,0	100,0	#DIV/0!

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თერჯოლის მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, ხელი შეუწყო კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. განახორციელა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

4.1. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.

